ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3845596

ნომერი: AR1577884

თარიღი : 23.02.2018

გაცემის თარიღი : 02.03.2018

გაცნობის თარიღი : 04.03.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე , N 1 , (ნაკვ. 038/011) ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ქურდიანი პ/ნ 01008018346
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 41 ბ. 6

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3655040
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.11.2017

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

№AR157 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისშესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 08/02/2018 წლის # ბ-19/01173331399-17 ბრძანებაში დაფიქსირებული დარღვევებიდან გამომდინარე (შენობა სცდება საკადასტრო საზღვრებს, გაზრდილია არასრული სართული და ვერ დგინდება კ2 კოეფიციენტი გადაჭარბებულია თუ არა, ასევე ფასადებზე ქაოტურად მოწყობილია დანადგარები და ანტენები, ჟალუზები, პანდუსის დახრა გაზრდილია, გაურკვეველია შშმპირთა მისაწვდომობა) განხორციელებული მშენებლობა ქალაქგეგმარებით პირობებთან შეუსაბამობაშია და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ თუ განხორციელებული სამუშაოებით შეიცვალა მომავალი მესაკუთრეების, მყიდველის, იპოთეკარის ფართები, საჭიროა ყველა იმ პირის (ორგანიზაციის) თანხმობის წარმოდგენა ვისი ფართიც იცვლება. იპოთეკარის შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რომ თანხმობა გაცემული უნდა იყოს წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მისი ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.